

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის
ოქმი №7

ქ. აბაშა, 2018 წლის 24 მაისი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა
(ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა : აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-
საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: შოთა ჭანტურაია, კოკი ჩაჩავა, ელვარდი
ნოდია, ზაზა გაბელაია და მერაბ მელია.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბენია პიტავა და ზურაბ შუბლაძე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ
კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის
ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება,
თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: გ. კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0) და განაგრძო
მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: გ. კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: შ.ჭანტურაიამ, მ.მელიამ და ზ.გაბელიამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -6; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა :

მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით განსაზღვრული აბაშის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების შესრულების ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს და შეადგენს 1922860 ლარს დღგ-ს გათვალისწინებით. აღნიშნული საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და განსახილველად შეიტანოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა 11:30 საათზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე:

გ. კუპრავა